საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N 104 2025 წლის 20 იანვარი ქ. თბილისი

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის შპს „კურორტ საირმისათვის“ იჯარის უფლებით გადაცემაზე თანხმობის გაცემის შესახებ

1. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მიეცეს თანხმობა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს, რომ შპს „კურორტ საირმეს“ (ს/ნ: 225058576) შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 49 (ორმოცდაცხრა) წლის ვადით, წლიურ სარგებლობაში გადაცემის საფასურად – 1 000 (ერთი ათასი) ლარად, იჯარის უფლებით გადასცეს ვანის მუნიციპალიტეტში მდებარე 2060.8341 ჰა სასოფლო-სამეურნეო (სათიბი) დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №31.21.21.306).

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრული უძრავი ნივთის სარგებლობაში გადაცემის პირობებად განისაზღვროს:

ა) საიჯარო ქირის – 1 000 (ერთი ათასი) ლარის გადახდა ყოველწლიურად;

ბ) „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთების შპს „კურორტ საირმისათვის“ პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზებისა და აღნაგობისა და იჯარის უფლებით გადაცემაზე თანხმობის გაცემის

შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 24 აპრილის №609 განკარგულების მე-2 პუნქტის „ბ“ – „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება.

3. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ, ამ განკარგულების შესრულების მიზნით, განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებები.

პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე